## დისტანციური მომსახურების საშუალებით შეძლებთ დროის და ფინანსების დაზოგვას.

რა სახის მომსახურება შეიძლება მიიღოთ დისტანციურად:
დრაივერების ჩაწერა
პერიფერიული მოწყობილობების ინსტალაცია კონფიგურაცია (პრინტერი, სკანერი, მიკროფონი, ყურსასმენი, ID ბარათის წამკითხავი, ვებ კამერა  და სხვა)
საოფისე, გრაფიკული, არქიტექტურული, დიზაინერული  და სხვა პროგრამების ჩაწერა.
კომპიუტერის გაწმენდა ვირუსებისგან.
სისტემის ოპტიმიზაცია.
სისტემის ზედმეტი პროგრამების და ფაილებისგან გასუფთავება.
სისტემის განახლება Update
მეილ კლიენტების კონფიგურაცია.
Wifi -ს სახელის და პაროლის შეცვლა.
როუტერის კონფიგურირება (პორტის გადამისამართება, შიდა IP მისამართების შეცვლა, ა.შ.)
ქსელში ჩართული IP ტელეფონის კონფიგურაცია.
HDD SSD-ის სიცოცხლის უნარიანობის შემოწმება.
HDD SSD-ის დაყოფა სასურველ ზომებად.
კომპიურტერის დეტალიზაცია შემდეგი განახლებისთვის.

# როგორ შეგიძლიათ მიიღოთ დისტანციური დახმარება?

დახმარების დისტანციურად მისაღებად საჭიროა გქონდეთ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პროგრამა [Anydesk](https://anydesk.com), რომელიც შეგიძლიათ გადმოწეროთ საიტიდანე [https://anydesk.com](https://anydesk.com)




საიტზე გადასვლის შემდეგ, დაგხვდებათ ღილაკი Download Now, რომელზე დაჭერის შემდეგაც მოხდება პროგრამის გადმოწერა თქვენს კომპიუტერში.




პროგრამის იარლიყი გამოიყურება ასე




გადმოწერის შემდეგ გახსენით პროგრამა, რომელიც გამოიყურება ასე.




შემდეგ დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე, გვიკარნახეთ თქვენი ცხრა სიმბოლოიანი კოდი, რომელიც მდებარეობს პროგრამის შუა ნაწილში.




თქვენს კომპიუტერთან დაკავშირებისას გამოჩნდება დამატებით მეორე ფანჯარა, რომელზეც იქნება ღილაკები Accept (მწვანე) და Dismiss (წითელი). თანხმობის შემთხვევაში უნდა დააჭიროთ ღილაკს Accept, ხოლო უარყოფის შემთხვევაში Dismiss




თანხმობის ღილაკზე დაჭერის შემდეგ მოხდება თქვენს კომპიუტერთან დაკავშირება და ზემოთ ნახსენებ მეორე ფანჯარაში დაეწერება Session started და დაკავშირებული კლიენტის ცხრა ნიშნა კოდი და სახელი




თქვენს მიერ თანხმობის ღილაკზე დაჭერის შემდეგ, ჩვენ შევძლებთ თქვენს კომპიუტერთან დაკავშირებას და დისტანციურად დახმარებას.

თუ პროგრამა არ არის გახსნილი, ჩვენ ვერ შევძლებთ თქვენს კომპიუტერთან დაკავშირებას. კავშირის გაწყვეტისთვის შეგიძლიათ დააჭიროთ ღილაკს Disconnect, რა დროსაც მოხდება თქვენს კომპიუტერთან კავშირის გაწყვეტა.

სამუშაოს დასრულების და კავშირის გათიშვის შემდეგ, მოგაწვდით ანგარიშის ნომერს, სადაც შეძლებთ გადმორიცხოთ მომსახურების საფასური.
□ომსახურების ღირებულება არ შეიცავს დ.ღ.გ-ს (დამატებითი ღირებულების გადასახადი) და პროგრამების ლიცენზიების ღირებულებას.